სსიპ ციფრული
მმართველობის სააგენტო

24 / ივნისი / 2024 წ.

KA012156300670624

№ **403/კ**

თავმჯდომარის ბრძანება

უცხოეთში აღიარებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების საქართველოში აღიარების შესახებ

განმცხადებელი: სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

მოთხოვნა: უცხოეთში აღიარებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების (დასახელება: NXP eDoc Suite v4.0 on JCOP4.5 P71) საქართველოში აღიარება

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობა

1.1. 2024 წლის 5 ივნისს სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოში (**შემდგომში – სააგენტო**) წარმოდგენილ იქნა სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (**შემდგომში – განმცხადებელი**) 2024 წლის 5 ივნისის №01/138898 განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციის №1608) უცხოეთში აღიარებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების (დასახელება: NXP eDoc Suite v4.0 on JCOP4.5 P71) საქართველოში აღიარების შესახებ.

1.2. სააგენტომ განიხილა წარმოდგენილი განცხადების ფორმალური შესაბამისობა და მიიჩნია, რომ განცხადება საჭიროებდა დაზუსტებას, რის გათვალისწინებითაც სააგენტოს 2024 წლის 10 ივნისის №21/469 წერილით განმცხადებელს ეთხოვა დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა. 2024 წლის 14 ივნისს განმცხადებელმა სააგენტოს მოთხოვნის პასუხად 2024 წლის 14 ივნისის №01/148957 დაზუსტებული განცხადებით (სააგენტოში რეგისტრაციის № 1704) წარმოადგინა დაზუსტებული ინფორმაცია/ დოკუმენტ(ებ)ი.

2. დადგენილი გარემოებები

2.1. განმცხადებლის 2024 წლის 5 ივნისის №01/138898 განცხადებითა და 2024 წლის 14 ივნისის №01/148957 დაზუსტებული განცხადებით დგინდება, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის № 343 დადგენილებით დამტკიცებული „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტით“ **(შემდგომში – რეგლამენტი)** მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები.

2.2. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ განმცხადებლის მიერ შესყიდული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალება (დასახელება: NXP eDoc Suite v4.0 on JCOP4.5 P71) „ელექტრონული იდენტიფიკაციის, შიდა ბაზარზე ელექტრონულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სანდო მომსახურებებისა და 1999/93/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის № 910/2014 რეგულაციის მიხედვით მიიჩნევა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებად ნიდერლანდების სამეფოს სერტიფიცირების ორგანოს – SGS Brightsight BV-ის მიერ (სერტიფიკატის ნომერი: eIDAS-2200055-01; გაცემის თარიღი: 18.04.2024; მოქმედების ვადა 09.08.2028; და სერტიფიკატის ნომერი: eIDAS-2200056-01; გაცემის თარიღი: 18.04.2024; მოქმედების ვადა: 09.08.2028). კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის

საშუალებების ჩამონათვალი და ინფორმაცია მათი გამცემი და სერტიფიცირების ორგანიზაციების შესახებ გამოქვეყნებულია ევროკავშირის მიერ ოფიციალურ ვებგვერდზე (https://eidas.ec.europa.eu/efda/browse/notification/qscd-sscd).

2.3. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების (დასახელება: NXP eDoc Suite v4.0 on JCOP4.5 P71) უსაფრთხოება შემოწმებულია ISO/IEC 15408 (Information technology - Security techniques - Evaluation criteria for IT security) სტანდარტის მიხედვით, რაზეც ნიდერლანდების სამეფოს სერტიფიცირების ორგანოს – SGS Brightsight BV-ის მიერ გაცემულია შესაბამისი სერტიფიკატები (სერტიფიკატის ნომერი: NSCIB-CC-2200053-01; გაცემის თარიღი: 09.08.2023; მოქმედების ვადა: 09.08.2028; და სერტიფიკატის ნომერი: NSCIB-CC-2200054-01; გაცემის თარიღი: 09.08.2023; მოქმედების ვადა: 09.08.2028), რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგი წყაროდან: https://www.trustcb.com/common-criteria/nscib/nscib-certificates. წარმოდგენილია ასევე ISO/IEC 15408 სტანდარტთან შესაბამისობის (Common Criteria) სერტიფიკატი (სერტიფიკატის ნომერი: CC-22-0313985; გაცემის თარიღი: 02.08.2022; მოქმედების ვადა: 02.08.2027), რომელიც ხელმისაწვდომია Common Criteria-ის ოფიციალურ ვებგვერდზე (https://www.commoncriteriaportal.org/products).

2.4. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ წინამდებარე ბრძანების 2.3 პუნქტში მითითებული სერტიფიკატები მოქმედია და მისი გაცემიდან არ არის გასული 5 წელზე მეტი.

სამოტივაციო ნაწილი

3. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის 2024 წლის 5 ივნისის № 01/138898 განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციის № 1608) უცხოეთში აღიარებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების (დასახელება: NXP eDoc Suite v4.0 on JCOP4.5 P71) საქართველოში აღიარების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

4. სამართლებრივი შეფასება

4.1. რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იმისათვის, რომ ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალება მიჩნეულ იქნეს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებად, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების გარდა, იგი აღიარებული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებად, ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალება ითვლება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის მოწყობილობად, თუ უცხოეთში გამოყენებული საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებულია ამ რეგლამენტის მე-10 მუხლის შესაბამისად. ამასთან, რეგლამენტის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ ყველა საშუალება, რომელიც ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის № 910/2014 „ელექტრონული იდენტიფიკაციის, შიდა ბაზარზე ელექტრონულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სანდო მომსახურებებისა და 1999/93/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ რეგულაციის მიხედვით მიიჩნევა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებად, დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, აღიარებული უნდა იყოს სააგენტოს მიერ, თუ: ა) მოწყობილობის უსაფრთხოება შემოწმებულია ISO/IEC 15408 (Information technology - Security techniques - Evaluation criteria for IT security) სტანდარტის მიხედვით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რაზეც გაცემულია შესაბამისი სერტიფიკატი; ბ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სერტიფიკატი მოქმედია და მისი გაცემიდან არ გასულა 5 წელზე მეტი. რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების მახასიათებლები ან/და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ ეს საშუალება აკმაყოფილებს ამავე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, ამ საშუალების კვალიფიციურ სანდო მომსახურებაში გამოყენებამდე შესათანხმებლად და სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში გამოსაქვეყნებლად წარუდგინოს სააგენტოს. განაცხადში მითითებული უნდა იყოს ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების დასახელება და სხვა მახასიათებლები, რომლებიც საჭიროა მისი უნიკალური იდენტიფიკაციისათვის. კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელს უფლება არ აქვს, გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალება კვალიფიციური სანდო მომსახურების მისაწოდებლად სიაში გამოქვეყნებამდე.

4.2. დადგენილია, რომ განცხადება შეესაბამება რეგლამენტის მე-8 და მე-10 მუხლების მოთხოვნებს, კერძოდ, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალება (დასახელება: NXP eDoc Suite v4.0 on JCOP4.5 P71) „ელექტრონული იდენტიფიკაციის, შიდა ბაზარზე ელექტრონულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სანდო მომსახურებებისა და 1999/93/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის № 910/2014 რეგულაციის თანახმად მიიჩნევა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებად, ამასთან, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/

კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე ნიდერლანდების სამეფოს სერტიფიცირების ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი სერტიფიკატი და მისი გაცემიდან არ არის გასული 5 წელზე მეტი.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის № 343 დადგენილებით დამტკიცებული „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის“ მე-8 და მე-10 მუხლებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2024 წლის 5 ივნისის № 01/138898 განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციის № 1608) უცხოეთში აღიარებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების (დასახელება: NXP eDoc Suite v4.0 on JCOP4.5 P71) საქართველოში აღიარების შესახებ.

2. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების (დასახელება: NXP eDoc Suite v4.0 on JCOP4.5 P71) შესახებ ინფორმაცია შეტანილ იქნეს სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში.

3. სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების (დასახელება: NXP eDoc Suite v4.0 on JCOP4.5 P71) კვალიფიციური სანდო მომსახურების მისაწოდებლად გამოყენების უფლება მიეცეს აღნიშნული საშუალების შესახებ ინფორმაციის სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში შეტანის მომენტიდან.

4. ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება, დადგენილი წესით, ეცნობოს განმცხადებელს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ოფიციალური წესით მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად დავით ნადირაშვილი